განკარგულება:**გ-49. 49261757**
თარიღი:**24/06/2026**

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N138 (გ-49.492536011) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4826173115; 22/12/2025) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა შემცირდა ერთი ერთეულით და ნაცვლად 25-სა შეადგენს 24 ერთეულს. შესაბამისად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოსგან ითხოვს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 25–ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N138 (გ-49.492536011) განკარგულებაში, კერძოდ განკარგულების პრეამბულაში ნაცვლად 25 ერთეულისა ჩაიწეროს „24 ერთეული", მერის თანაშემწე შეიცვალოს „2"-ით (ერთეულით), ხოლო პირველ პუნქტში ამოღებულ იქნეს სიტყვები „1 ფსიქოლოგის".

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი